აკაკი თოდუას ბრიგადა / ფონდი

287 1 253

287 1 253

16.01.2025 01

1 ს.

ლიტერატურული წერილების საუკეთესო კრებული

ამ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა კრიტიკული ლიტერატურის გამოცემა. დღითიდღე უმჯობესდება ლიტერატურული კრიტიკა როგორც ფორმით, ისე შინაარსით. განსაკუთრებით ბევრი გამოდის ამჟამად ლიტერატურული წერილების კრებულები, რაც უდავოდ მისასალმებელი ნაბიჯია.

ერთი ასეთი კრებულთაგანია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. თოფურიას საკმაოდ მოზრდილი წიგნი „წერილები ლიტერატურის საკითხებზე", რომელიც ახლახან გამოსცა „საბჭოთა მწერალმა" ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ს. ჭილაიას რედაქტორობით.

დიდი იღია წერდა: „კრიტიკა არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად". სარეცენზიო წიგნის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ დოცენტი ა. თოფურია მხატვრული ნაწარმოების ანალიზს სწორედ „მგზავრის წერილების" ავტორის მოთხოვნილებისამებრ ახდენს. ეს კი მისასალმებელია.

დოცენტ ა. თოფურიას წიგნი იხსნება წერილით „სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ". მასში მეტად აქტუალური პრობლემაა დასმული და შეძლებისდაგვარად გადაჭრილიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავეების პრობლემა ამ სიბრტყეზე არავის დაუსვამს. სარეცენზიო წიგნის ავტორი მდიდარი ფაქტობრივი მასალების ანალიზის შედეგად ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ დასკვნებს აყალიბებს:

1905 წლის კონკრეტულ-ისტორიული ეპოქა უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ამ პერიოდში საქართველოშიც ჩაღდება მუშათა და გლეხთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა;

სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ჩასახვა სწორედ ქართველი ხალხის ამ ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული. ეს სათავეები მომდინარეობს ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან". მასში, კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, მოცემული ეპოქის სინამდვილე ასახულია მის რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში, მებრძოლი ოპტიმიზმისა და თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის რევოლუციური იდეებით;

„ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ამ ელემენტების წარმოშობა განაპირობა ქართული ლიტერატურის ტრადიციებმა და მ. გორკის მგზნებარე იდეებმა.

ამ დასკვნებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სოციალისტური რეალიზმის გენეზისის საკითხის მართებულად გადაწყვეტისათვის. ა. თოფურიას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებას ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მკვლევარები იზიარებენ.

სარეცენზიო კრებულის მომდევნო წერილში („ლიტერატურული ოსტატობისათვის მებრძოლი პოეტი") დოცენტი ა. თოფურია ეხება პოეტი-აკადემიკოსის ირ. აბაშიძის შემოქმედების სპეციფიკურ მხარეებს, დაწვრილებით იხილავს ლექსს „კაპიტანი ბუხაიძე". არკვევს იმ კონკრეტულ პირობებს, რომლებიც განაპირობებს, ქართული საბჭოთა ლირიკული პოეზიის ამ შესანიშნავი ნიმუშის წარმოშობას, და საგანგებოდ ჩერდება ლექსის დაწერის ისტორიაზე.

დოცენტი ა. თოფურია საგულდაგულოდ იხილავს ირ. აბაშიძის პატარა წიგნს „მაღალი ოსტატობისათვის", რომელიც ნათლად ადასტურებს იმ დებულებას, რომ პოეტი ამავე დროს კრიტიკოსიც უნდა იყოს. ამ წიგნით, როგორც მართებულად მიუთითებს დოცენტი ა. თოფურია, ი. აბაშიძე ჩვენ წინაშე კიდევ უფრო ძლიერად წარმოსდგა თავისი მდიდარი პოეტური პრაქტიკითა და მახვილი თეორიული მოსაზრებებით მაღალი ლიტერატურული ოსტატობისათვის ერთ-ერთ თანმიმდევრულ და ბოლომდე შეუპოვარ მებრძოლად, რომლისთვისაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გულის ხმა გადაქცეულია სიცოცხლისა და შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ.

ასევე ინტერესით იკითხება წერი-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

„ლიტერატურული საქართველო"
12/VI-1961 წ. №83

თებულ შტატებში მოახდინონ მობილიზაცია. სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის მტრები ხელს უშლიან ლაოსის შესახებ ჟენევის თათბირის წარმატებას, თუმცა ლაოსის სამი პრინცი შეთანხმდა ამ ქვეყნის ახალი მთავრობის პროგრამის შესახებ.

ჩვენი ქვეყანა ფხიზლად ადევნებს თვალს მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ხრიკებს და არ ანელებს ღონისძიებებს საიმე-

საზოგადო-სასარგებლო ბრო-
მას და ცხოვრების „იოლ გზას“ გაჰყვა.

—სულ ათიოდე წუთი და ფულიანი კაცი ვიქნები... მხოლოდ ათიოდე წუთი. „ვოლგის“ საბურავების მოხსნას რა უნდა,—ერთი, ორი და გათავდა,—ფიქრობდა იგი.

„ვოლგა“ იდგა... საბურავები მიგორავდნენ... ჯემალის წითელი თუმნიანები ელანდებოდა. ათასნაირი გეგმების შედგენაში

კარებთან მილიციის მუშაკები იდგნენ. მათვე მიაცილეს სასამართლოს მიერ სასჯელდადებული ჯ. კინწურაშვილი ციხის კარებამდე—ერთწლიანი „საგზურით“.

ნ. შუქიძე.

ხისათვის). აქ დასმული პრობლემის გადაწყვეტა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მართებულად ცნო. საკმარისია ითქვას, რომ ისეთმა ცნობილმა მკვლევარმა, როგორიც პავლე ინგოროყვაა, სავსებით გაიზიარა

ლიტერატურული წერილების საუკეთესო კრებული

(დასასრული)

ლი „წიგნები, სახეები და შთაბეჭდილებანი“. მასში გაანალიზებულია თანამედროვე ქართული პროზის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილი მოთხრობა „მწვანე ღილი“.

კრიტიკოსი დიდ ადგილს უთმობს ნაწარმოების კომპოზიციური მხარის ანალიზს, ნათელყოფს სახეთა სისტემას, პერსონაჟთა ინდივიდუალურ ხასიათებს.

ამავე წერილში განხილულია ნიჭიერი პროზაიკოსის ვლადიმერ თორდუას ნოველების კრებული „ჩიტი ციცინო“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1949 წელს. აქვე გარჩეულია გრ. ჩიქოვანის მოთხრობა „ფართო გზაზე“, ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობა „დათუჩა“, ცნობილი ოსი მწერლის დ. ჯიოევის რომანი „უძლეველი ძალა“, გ. ნატროშვილის მოთხრობების წიგნი „ისევ გაზაფხული იყო“, ანდრო ლომიძის „ზღვასა და ხმელეთზე“.

წერილში „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფროს ღრმად შესწავლისათვის“ მიმოხილულია პროფესორ დ. გამეზარდაშვილის ნაშრომი „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, პროფესორ ვ. შადურის „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა“, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ბენაშვილის „მ. ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“.

მეტად საინტერესო პრობლემაა დასმული და მეცნიერული სიზუსტით გადაჭრილი გამოკვლევაში „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკით-

დოცენტ ა. თოფურიას მოსაზრებანი დამყარებული მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე.

სარეცენზიო წიგნის უკანასკნელ განყოფილებაში წარმოდგენილია გამოკვლევა „თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის“, რომელშიც მოცემულია ამ საკითხზე მკვლევართა შორის გაბატონებული მცდარი შეხედულების კრიტიკა და წამოყენებულია ახალი დებულება.

დოცენტი ა. თოფურია ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. მისი ფუნდამენტალური შრომები—„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ ორი ტომი დიდი ხანია ჩვენი მასწავლებლების სამაგიდო წიგნები გახდა. სარეცენზიო კრებულიც კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის. მისი გამოცემა მისასალმებელი ფაქტია.

რაფიელ შამელაშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

რედაქციის მისამართი: ქ. წყალტუბო, I რგოლური გზა, 19, I სართული. ტელეფონები: პარტიული
ხოფლის მეურნეობისა და მშრომელთა წერილების განყოფილებების — 4-00 საკორე